განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი
წევრები:
მარინე გვრიტიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 235 891 512

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯში „თეთნულდი“ მიმდინარე წლის 22,23,24 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 ივლისის N562 ბრძანების საფუძველზე.

დაწესებულება ავტორიზებულია 2014 წლის 29 აგვისტოს N15 გადაწყვეტილებით 5 წლის ვადით, ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღია 2019 წლის 29 აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პირობები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით, მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფთან, მათ შორის კოლეჯის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მენეჯერთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება, ასევე კოლეჯის მატერიალური რესურსის შემოწმება, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით. **(დანართი 1)**

ექსპერტებმა განიხილეს წინა ვიზიტის (მონიტორინგი) ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა გადამოწმდა ვიზიტის დროს დაწესებულებაშიც, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებაც.

რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა თან ერთვის დასკვნის პროექტს ცხრილის სახით. **(დანართი 2)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგომარეობა (არსებული)	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	შენობა-ნაგებობების ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
არსებული	80	4	10	1618 კვ.მ.	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)	☐	■
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების	მუხლი 6 / პუნქტი გ)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ■ ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☐	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☐	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☐	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	☐	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	☐	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☐	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს	მუხლი 7 / პუნქტი ვ)		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი,	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის,	მუხლი 7 / პუნქტი ზ)		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი,	მუხლი 7 / პუნქტი თ)		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი,	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1

- პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზანი: "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სასტუმრო, სარესტორნო მომსახურების, საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტებსა და კონდიტერს", რომელიც წარმოადგენს ჩარჩო-დოკუმენტის **სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering** მიზანს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სასტუმრო მომსახურება“**(მისანიჭებელი კვალიფიკაცია- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/ Secondary Vocational Qualification in Hotel Service) მიზანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ჩარჩო დოკუმენტის მიზანი, რომელიც ოთხი კვალიფიკაციისთვის არის ვალიდური.

- პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია: „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/ Secondary Vocational Qualification in Hotel Service“. პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობა **„საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია“** , <u>რაც ეწინააღმდეგება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობას,</u> საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის ჩარჩო-დოკუმენტით სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering განსაზღვრულ დაშვების წინაპირობას: **„საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სრული ზოგადი განათლება“.**

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1

- რეკომენდირებულია პროგრამებს ჰყავდეთ პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩაერთვებიან პროგრამების შემუშავებაში/ადაპტირებაში;
- სასურველია დაწესებულებამ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები სხვა პროფესიულ მასწავლებლებთანაც, რომ არ დადგეს საფრთხის ქვეშ პროგრამების მდგრადობის საკითხი(წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თითო-თითო პროფესიულ მასწავლებელთან (ერთკაციანი პროგრამები));
- „ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და

მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის“ თანახმად, სასწავლო გეგმა ყველა პროგრამისთვის უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა, ან ცვლილება შევიდეს წესში და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმასთან;

- მოდულში მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი და აუდიტორია, როგორც ეს გაწერილია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში“, ან შევიდეს ცვლილება წესში რომ შესაბამისობაში მოვიდეს მოდულებთან;
- მოხდეს მოდულების ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში;
- სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა(დამოუკიდებელი საათების ჩათვლით) შესაბამისაბაში მოვიდეს კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“;

ქვესტანდარტი 2.3

გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურაში.

ქვესტანდარტი 2.9

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯი „თეთნულდის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაიწეროს სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის საჭირო რესურსი;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგრიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე;

ქვესტანდარტი 3.3

- წარმოდგენილი პროგრამებსთვის საჭირო ყველა პროფესიულ მასწავლელბლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იქნება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც, ხელშეკრულების 3.4 პუნქტიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი „განკარგულება“, ვინაიდან ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი; შრომითი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში მოხდება ტექნიკური უზუსტობის გასწორება, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტის საფუძვლად არ უნდა იყოს მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოქმედება კოლეჯის ადამიანურ რესურსზე არ ვრცელდება;
- შრომით ხელშეკრულებაში მიეთითოს პროგრამის/მოდულის დასახელება;
- შრომით ხელშეკრულებებში/დანიშვნის აქტებში „მასწავლებლის“ და/ან „პედაგოგის“ ნაცლად ჩაიწეროს „პროფესიული განათლების მასწავლებელი“.
- სასურველია ხელშეკრულებებში მიეთითოს სამუშაოს შესრულების ადგილი. თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაწესებულების „შინაგანაწესი“, სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯი „თეთნულდი“ არის განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანთლებლო დაწესებულება,რომლის მისიაა მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მოამზადოს სამეწარმეო და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და ამით ხელი შეუწყოს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას/სტაბილურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სსიპ კოლეჯი „თეთნულდის“ მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: **ინფორმაციის ტექნოლოგია, ელექტროობა, სასტუმრო მომსახურება, ბუღალტრული აღრიცხვა.**
წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია- პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის- კოლეჯის დირექტორის მიერ;
ექსპერტებმა განიხილეს პროგრამის/პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“დირექტორის მიერ. დოკუმენტი ეყრდნობა დაწესებულების სტრატეგიას, მისიას და ხედვას, კოლეჯის ხედვაა „ 2019 წლისთვის, რეგიონში შრომის ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად, ძალაზე არსებული დაკვეთის 90 % -ით დაკმაყოფილება“. შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევისთვის დაწესებულებამ ჩაატარა პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა სამეგრელო ზემო სვანეთში მოქმედ საწარმოებში და ვიზიტის დროს ექსპერტებს წარუდგინეს კვლევის ანგარიშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ჩატარებული აქვს არსებული სიტუაციის ანალიზი და რეგიონული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის საფუძველზე ეკონომიკური პროგნოზირება ზეპირი ინტერვიუს მეშვეობით; დაწესებულებაში არსებობს კურსდამთავრებულთა ბაზა ელექტრონული სახით, 2014 წლიდან ფიქსირდება 271 კურსდამთავრებული; მოხდა დაწესებულების არსებული და შემდგომი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/სრულყოფა/შევსება მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისად, ასევე მოხდა საგანმანათლებლო რესურსის სრულყოფა.

<u>მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს „სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით". ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება კოლეჯის წარმომადგენლებთან და დადგინდა, რომ ეს ტექნიკური ხარვეზია,</u> პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამებისათვის კვოტის განსაზღვრა ხდება დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. (იხ. ქვესტანდარტი 2.1)

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სსიპ კოლეჯში „თეთნულდი" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი. წესი ითვალისწინებს: მოდულური პროგრამის შემუშავების პროცედურას და წესს, მოდულის შემუშავების წესს, მოდულური პროგრამის დამტკიცების წესს,მოდულურ პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესს.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ დაცულია ამ წესით დადგენილი პროცედურები.

პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებით ექსპერტებისთვის წარმოდგენილი იყო **ორი** პროგრამა, რომელსაც დაწესულება განახორციელებს მილევად რეჟიმში:**ბუღალტერ-ტექნიკოსი** და **გიდი.** ექსპერტთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ კოლეჯი მილევად რეჟიმში ახორციელებს მესამე საფეხურის **სამ** პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამას: **ბუღალტერ-ტექნიკოსი, მიღება-განთავსების სპეციალისტი** და **გიდი,** ამ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება კოლეჯს მინიჭებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის N23 და 2018 წლის 29 მარტის N53 გადაწყვეტილებებით. თვითშეფასებაში ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩენილი იყო **მიღება-განთავსების სპეციალისტის** პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

ვიზიტის დროს მილევად რეჟიმში მიმდინარე პროგრამებისთვის პროფესიული სტუდენტების ჯამური ზღვრული რაოდენობა იყო 23, ბუღალტერ-ტექნიკოსი- 7, მიღება-განთავსების სპეციალისტი -7 და გიდი -9(მათ შორის 1პროფესიულ სტუდენტს აქვს შეჩერებული სტუდენტის სტატუსი).

ბუღალტერ-ტექნიკოსი- სწავლა დასრულების თარიღი 06.12.2019, **მიღება-განთავსების სპეციალისტი** -სწავლა დასრულების თარიღი 03.07.2020, **გიდი** -სწავლა დასრულების თარიღი 04.10.2019

ექსპერტთა შეფასებით, მატერიალური და ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, დაწესებულება შეფერხების გარეშე შეძლებს მოთხოვნილი პროგრამების განხორციელებას მილევადი რეჟიმში მიმდინარე პროგრამების პარალელურად.

ექსპერტთა მიერ, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლის შემდეგ, დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმები და მოდულები. თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მექანიზმები, რომელიც შეიმუშავა მონიტორიგის ვიზიტის შემდეგ შემუშავებული რეკომენდაციის საფუძველზე;

ექსპერტების მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას ზოგიერთ პროგრამაზე დაცული არ არის პროგრამის შესაბამის მოდულებში განსაზღვრული წინაპირობები და სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით.

პროგრამების მიხედვით გამოვლენილი სხვა გარემოებებიწარმოდგენილია ქვემოთ:

1. **სასტუმრო მომსახურება**

პროფესიული პროგრამა „სასტუმრო მოომსახურება“ შემუშავებულია 2019.22.02 სსიპ განათლების ხარისხის განვითარებს ეროვნული ცენტრის დირექტორის N141/ი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის **სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering** საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი 10117-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/ **Secondary Vocational Qualification in Hotel Service**

პროგრამის მოცულობა შეადგენს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 80 კრედიტი 13 სასწავლო თვე (58 სასწავლო კვირა);

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 95 კრედიტი 16 სასწავლო თვე (69 სასწავლო კვირა);

პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 80 კრედიტი.

კოლეჯს გაფორმებულია აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ინდ.მეწარმე[redacted], ი.მ. [redacted]“ და სასტუმრო „შალე მესტია“-სთან . მემორანდუმის ფარგლებში მხარეები თანხმდებიან, რომ სასტუმროს წარმომადგენლები ჩარჩო დოკუმენტის სფუძველზე შემუშავებული საგანამანთლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ არანაკლებ 10 პროფესიული სტუდენტისთვის უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების გავლას/დადასტურებას.მემორანდუმის ფარგლებში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო თემატიკის, პრაქტიკის მოდულების და კვირეული დატვირთვის შემუშავებას, პრაქტიკის ხელმძღვანლის გამოყოფას კოლეჯიდან, სააღრიცხვო ფორმების შემუშავებას, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლის დატრენინგებას პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისთვის საჭირო უნარებში. ვიზიტის დროს მოხდა ექსპერტების გასაუბრება სასტუმროს „შალე მესტია“ წარმომადგენელთან. მან მზაობა გამოთქვა , რომ 5 პროფესიული სტუდენტისთვის უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების გავლას/დადასტურებას. სწავლის დაწყებამდე კოლეჯსა და სასტუმროს შორის გაფორმდება ხელშეკრულება, სადაც დაზუსტდება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და სწავლის ის შედეგები, რომელთა დადასტურებაც მოხდება სასტუმროში.

<u>**პროფესიული პროგრამის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:**</u>

- პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზანი: "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სასტუმრო, სარესტორნო მომსახურების, საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტებსა და კონდიტერს", რომელიც წარმოადგენს ჩარჩო-დოკუმენტის **სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering** მიზანს. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სასტუმრო მომსახურება“**(მისანიჭებელი კვალიფიკაცია- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასტუმრო მომსახურებაში/ Secondary Vocational Qualification in Hotel Service) მიზანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ჩარჩო დოკუმენტის მიზანი, რომელიც ოთხი კვალიფიკაციისთვის არის ვალიდური.

- პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია: „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/ Secondary Vocational Qualification in Hotel Service". პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობა **„საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია"** , <u>რაც ეწინააღმდეგება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობას,</u> საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის ჩარჩო-დოკუმენტით სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering განსაზღვრულ დაშვების წინაპირობას: **„საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სრული ზოგადი განათლება".**

ასევე გამოვლინდა უზუსტობები, რომლებიც დაშვებულია პროგრამასა და მოდულებში ადაპტირების დროს:

- პროგრამაში შემუშავების სამართლებრივი საფუძვლებად ნაცვლად ჩარჩო დოკუმეტისა მითითებულია ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლებიც.
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში მითითებულია გერმანული ენის მასწავლებელი კარინა ლოპრიხ, რომელთანაც დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კარინა ლოპრიხი არ უნდა იყოს მითითებული მოდულში, ეს პიროვნება დაწესებულების იერ გამოგზავნილ თვითშეფასებაშიც არ არის მითითებული.
- საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები არ არის სრულყოფილად ადაპტირებული. კერძოდ, სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში (3.1)შეფასების მტკიცებულებები პირდაპირაა გადმოტანილი ჩარჩო-დოკუმენტიდან და არ არის ადაპტირებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.

2.ელექტროობა

პროგრამა შემუშავებულია „ელექტროობა/ Electricity" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 07313-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 52 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 67 კრედიტს. **პროგრამის ხანგრძლივობა** - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 8 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 11 სასწავლო თვე. პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს (10 კრედიტის მოცულობით) და 4 საერთო პროფესიულ მოდულს (14 კრედიტის მოცულობით) და 5 პროფესიულ მოდულს (28 კრედიტის მოცულობით).

საგანმანათლებლო პროგრამა- ელექტროობაზე მემორანდუმი გაფორმებულია სს „სვანეთი ჰიდროსთან" (მოქმედების ვადა 10/12/2019წ). მემორანდუმში არ არის მითითებული პროგრამის დასახელება და სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც გაივლიან პრაქტიკას. კოლეჯის ადმინისტრაციის განცხადებით, ეს განპირობებულია იმით, რომ მემორანდუმის ფორმა შეიმუშავა სს"სვანეთი ჰიდრომ".

დაწესებულებას პრაქტიკის ორგანიზების დოკუმენტი შემუშავებული არ აქვს. თუმცა, ხარისხის სამსახურთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროცედურის მიხედვით, კოლეჯი ახდენს პრაქტიკის მოდულების კვირეული დატვირთვის შემუშავებას, პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფას კოლეჯიდან, პრაქტიკის ობიექტის მხრიდან გამოყოფილი ინსტრუქტორისთვის პროგრამისა და სტუდენტების შესახებ ინფორმირებას. აღნიშნული პროცედურა გაწერილია იმ მემორანდუმებში, რომელიც შედგენილია კოლეჯის მიერ(პროგრამებზე „სასტუმრო მომსახურება", „ინფორმაციის ტექნოლოგია").

ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ პრაქტიკის ობიექტზე. კომპანიის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ **პროფესიულ** სტუდენტებს პრაქტიკას გაატარებენ კოლეჯის მითითებების მიხედვით. მისაღები სტუდენტების რაოდენობაზე პრაქტიკის ობიექტს შეზღუდვა არ აქვს.

პროფესიული პროგრამის შესწავლისას გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები არ არის სრულყოფილად ადაპტირებული. კერძოდ, რამდენიმე მოდულში (უცხოური ენა, საინჟინრო პროექტი) სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში (3.1)შეფასების მტკიცებულებები პირდაპირაა გადმოტანილი ჩარჩო-დოკუმენტიდან და არ არის ადაპტირებული შეფასების მიმართულების შესაბამისად. მოდულის 3.1 პუნქტში დატოვებულია ჩანაწერი „რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.ინფორმაციის ტექნოლოგი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია/Information Technology" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 06112-პ,). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 60 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, პროფესიული მოდულების - 44 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს (16 კრედიტის მოცულობით) და 8 პროფესიულ მოდულს (44 კრედიტის მოცულობით).

პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდებტებისთვის შეადგენს 10 სასწავლო თვეს.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 75 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 13 სასწავლო თვე.

საგანმანათლებლო პროგრამა- ინფორმაციის ტექნოლოგიაზე დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N 2 საჯარო სკოლა. გაფორმებულია 20/08/2015, მოქმედების ვადა 5წელი.
- შპს „ორდუნეტი" 27/06/2019წ. მოქმედების ვადა- უვადოდ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

- სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო" (MCA_Georgia)
- სსიპ „ კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური"(APM Terminals Poti) მოქმედების ვადა 29/10/2019წ.
- პარტნიორთაშორისი შეთანხმება კოლეჯებს „თეთნულდსა" და „ბლექსის" შორის „ ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში და მათ ბაზაზე საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამების დაფუძნება" .

შპს „ორდუნეტთან გაფორმებულ მემორანდუმის ფარგლებში მხარეები თანხმდებიან, რომ ჩარჩო დოკუმენტის სფუძველზე შემუშავებული საგანამანთლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია" არანაკლებ 10 პროფესიული სტუდენტისთვის უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

სწავლის შედეგების გავლას/დადასტურებას. ამავე მეორანდუმში დეტალურადაა გაწერილი პრაქტიკის გავლის პროცედურა, როგორც კოლეჯის, ასევე პრაქტიკის ობიექტის მხრიდან.

პროფესიული პროგრამის შესწავლისას გამოვლინდა,რომ პროგრამის მოდულებში: ინტერპერსონალური კომუნკიაცია, სამოქალაქო განათლება და უცხოური ენა(ინგლისური ენა), კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა, კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში (3.1)შეფასების მტკიცებულებები პირდაპირაა გადმოტანილი ჩარჩო-დოკუმენტიდან და არ არის ადაპტირებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.

4. ბუღალტრული აღრიცხვა

პროგრამა შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი" დირექტორის 2019წლის 29 მაისის № 02/16 ბრძანებით.

პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 99 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვი: 114 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 14 თვე (60 სასწავლო კვირა), არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 17 სასწავლო თვე (72 სასწავლო კვირა). პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 16 პროფესიულ მოდულს (88 კრედიტის მოცულობით). პროგრამაში არ არის მითითებული პროგრამის ხელმძღვანელი.

პროფესიული პროგრამის შესწავლისას გამოვლინდა:

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის" სასწავლო გეგმაში არის უზუსტობა. „Ms Excel"-ის მოდულის დაწყება ხდება „ინფორმაციული წიგნიერება2" მოდულის დამთავრებისთანავე, რომელიც წარმოადგენს ამ მოდულის წინაპირობას. აღნიშნული ეწინააღმდეგება კოლეჯის რეგულაციას „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის

პროცედურის წესი“ (დამტკიცებული სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №02/29 ბრძანების საფუძველზე), სადაც წერია, რომ **„როდესაც მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“**(მუხლი 2. პუნქტი 8).

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის“ სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა(დამოუკიდებელი საათების ჩათვლით) **24-36-ე კვირების გარდა, ყველა კვირაში აღემატება 40 საათს,** რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან და კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციასთან- „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი“ .
- რამდენიმე მოდულში-„უცხოური ენა“, “ბიზნეს ინგლისური“ სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში (3.1)შეფასების მტკიცებულებები პირდაპირაა გადმოტანილი ჩარჩო-დოკუმენტიდან და არ არის დაკონკრეტებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამის “ბუღალტრული აღრიცხვის“ არცერთ მოდულში არ არის მითითებული მოდულის განხორციელების ადგილი და აუდიტორია, როგორც ეს გაწერილია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში“. მუხლი 3. პუნქტი 8.
- პროგრამებზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ ბიზნეს ინგლისურის მოდულის განმახორციელებელ პირად მოდულში მითითებულია [redacted] მას ინგლისური ენის სწავლების კვალიფიკაცია არ უდასტურდება.ხარისხის სამსახურის თანამშრომლის განცხადებით, ეს არის ტექნიკური შეცდომა და განმახორციელებლად მითითებული უნდა იყოს ინგლისურის მასწავლებელი, როგორც ეს გაწერილია შესაბამის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალში.

ექსპერტთა მიერ გამოვლენილი გარემოებები და უზუსტობები ყველა წარმოდგენილი პროგრამისთვის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- პროფესიული და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თითო-თითო პროფესიულ მასწავლებელთან (ერთკაციანი პროგრამები);
- პროგრამებს არ ყავს პროგრამის ხელმძღვანელი;
- მოდულებში არ არის მითითებული მოდულის განხორციელების ადგილი და აუდიტორია, როგორც ეს გაწერილია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში". მუხლი 3. პუნქტი 8.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების წესდებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/16 29.05.2019 პროგრამების დამტკიცების შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/29 28.05.2018 სსიპ - პროფესიულ კოლეჯში „თეთნულდი" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის დამტკიცების შესახებ;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით ;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ფაქტობრივი მდგომრეობით;
- https://eqe.ge/res/docs/2019040219314123.pdf

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია

- რეკომენდირებულია პროგრამებს ჰყავდეთ პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩაერთვებიან პროგრამების შემუშავებაში/ადაპტირებაში;
- სასურველია დაწესებულებამ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები სხვა პროფესიულ მასწავლებლებთანაც, რომ არ დადგეს საფრთხის ქვეშ პროგრამების მდგრადობის საკითხი(წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული და დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თითო-თითო პროფესიულ მასწავლებელთან (ერთკაციანი პროგრამები));
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესის" თანახმად, სასწავლო გეგმა ყველა პროგრამისთვის უნდა შეიქმნას იმგვარად, რომ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს ორკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა, ან ცვლილება შევიდეს წესში და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმასთან;
- მოდულში მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი და აუდიტორია, როგორც ეს გაწერილია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში", ან შევიდეს ცვლილება წესში რომ შესაბამისობაში მოვიდეს მოდულებთან;
- მოხდეს მოდულების ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ორგანიზების ნაწილში;
- სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი"
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის" სასწავლო გეგმაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა(დამოუკიდებელი საათების ჩათვლით) შესაბამისაბაში მოვიდეს კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციასთან „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი";

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ექსპერტთა მიერ გადამოწმებულ იქნა დაწესებულების ვებგვერდზე ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა(კატალოგი). კატალოგში მოცემულია კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია, მისია, ხედვა და ღირებულებები, ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ. კატალოგი ანონსის სახით მოიცავს ინფორმაციას იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში. ასევე კატალოგში მოცემულია ის პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც დაწესებულებას დამყარებული აქვს ურთიერთობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდით http://tetnuldi.edu.ge/wp-content/uploads/2019/07/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98-2019%E1%83%AC..pdf

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობის დადგენისთვის ექსპერტებმა შეადარეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიბი შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც გაწერილია სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში .

დაწესებულებს შემუშავებული აქვს პროფესიული ტესტირების ჩატარებისა და კოლეჯში ჩარიცხვის წესი, რომელიც შექმნილია განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბერს N152 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების დებულების საფუძველზე.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა ხდება თუ არა დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით. ასევე გადამოწმდა სტატუსშეჩრებული და შეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და ემისის ბაზა.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, მიღებული განათლების აღიარება ხდება დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- 2014 წლის 22 მაისს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/16 დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების და კოლეჯში ჩარიცხვის წესით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში- სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისთვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გადაყვანას იმ პროფესიულ საგანამანთლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

კოლეჯ „თეთნულდს" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- სსიპ პროფესიულ კოლეჯთან „ლაკადა"- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამებისთვის **ელექტროობა და ინფორმაციის ტექნოლოგი;**
    - ააიპ კოლეჯი "პრესტიჟი";
    - სსიპ პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი";
    - სსიპ პროფესიული კოლეჯი „სპექტრი";
    - სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანი";
    - ააიპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი";
    - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია";
    - სსიპ კოლეჯი „მერმისი";
    - სსიპ პროფესიული კოლეჯი „ფაზისი";

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- მემორანდუმებით ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.6 დაწესებულებას შემუშავებული .. აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. დებულების შესაბამისად სამახური თავის საქმიანობაში ითვალისწინებს კოპენჰაგენის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს ეგიდით, შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სარეკომენდციო დოკუმენტებს. დებულებით გაწერილია სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.
ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.
ამ დოკუმენტის შესაბამისად ხორციელდება პროფესიულ კოლეჯში „თეთნულდი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების კითხვარების მეშვეობით (დამსაქმებლის,სტუდენტთა , პედაგოგთა და კურსდამთავრებულთა კითხვარი.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტების მიერ მიღწეული სწავლის შედეგების გაანალიზება.

დაინტერესებულ პირთა მიერ შევსებული კითხვარების ანალიზი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის საფუძველს და ხელს უწყობს აღნიშნული პროგრამების შემდგომი სრულყოფისათვის ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ, შესწავლილი იქნა შევსებული კითხვარები და კითხვარების ანალიზის დოკუმენტები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო:

1. **პედაგოგთა კმაყოფილების კვლევა** (პროგრამების მიხედვით)-განხილულია სამუშაო პირობებით კმაყოფილება, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, პროფესიული უნარების გამოვლენის შესაძლებლობა, შედეგების მიღწევის შესაძლებლობა

სტუდენტებში, პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა.

2. **სტუდენტთა კმაყოფილების ანგარიში** (პროგრამების მიხედვით)- განხილულია პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება პროგრამის ხარისხისა და სწავლის დონით, სასწავლო კურსები, რის დამატებასაც ისურვებდნენ, სასწავლო გრაფიკი, სამომავლო გეგმები, პროფესიული მასწავლებლის შეფასება, სასწავლებლის გარემო.
3. **წარმატებულ კურსდამთავრებულთა ისტორიები**
4. **კურსდმთავრებულთა დასაქმების კვლევის ანგარიში ბოლო 6 თვის და 1 წლის მონაცემებით-** პროგრამების მიხედვით პროცენტულადაა გაანგარიშებული დასაქმების მაჩვენებელი. კოლეჯის კურსდამთავრებულთაგან (2014 წლიდან სულ 271) დასაქმებულია 205, მათ შორის უმრავლესობა ტურიზმის მიართულებით. ამავე ანალიზში განხილულია სტუდენტთა მიერ პროფესიის არჩევის სისწორე და მიზანი.
5. **პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევის საბოლოო ანგარიში**(პროგრამების მიხედვით)- განხილულია კადრების საჭიროება, კადრების მოზიდვის არხები, პროფესიები, რომელშიც განიცდიან კადრების დეფიციტს, პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის განხილვა, დასასაქმებელი პირის სავალდებულო კომპეტენციები შესაბამისი პროფესიაში.

კოლეჯის ხარისხის სამსახურის თანამშრომელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ კითხვარების და მის მიხედვით შედგენილი ანგარიშების განხილვა ხდება ზეპირსიტყვიერად დირექტორის და ხარისხის სამსახურის მიერ, და შედეგების გაითვალისწინება ხდება პროგრამის განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემით;
- სსიპ - პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- დაინტერესებულ პირთა მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის დოკუმენტებით;
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ კოლეჯი „თეთნულდი" მდებარეობს დაბა მესტიაში,ე.ფარჯიანის ქ.N25. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელსაც კოლეჯისათვის უვადო სრგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 31000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (N1 და N2) საერთო ფართით 1618 კვ.მ .

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	დაბა მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25, შენობა N1	690კვ.მ
2	დაბა მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25, შენობა N2	928კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსს. კოლეჯის ორივე სართულზე განთავსებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერები, მრავალფუნქციური პრინტერები და პროექტორები. კომპიუტერები აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი პროგრამებით (ORIS-„ბუღალტრული აღრიცხვა", ვირტუალური ლაბორატორიით-„ელეტროობა"). სასწავლო პროცესი ხორციელდება შენობის პირველ და მეორე სართულზე. **შენობის პირველ სართულზე** განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები (A, B და C გარემო), დარბაზი, ფაბლაბი, სამედიცინო პუნქტი, ადაპტირებული სველი წერტილი მამაკაცებისთვის. **მეორე სართულზე განთავსებულია** სასწავლო აუდიტორიები (A, B და C გარემო), ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი, ოთახები ადმინისტრაციისთვის, ადაპტირებული სველი წერტილი ქალებისთვის. მეორე სართულზე ასასვლელად ფუნქციონირებს ლიფტი.

„სასტუმრო მომსახურება"

პროგრამით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი A და C გარემო

A გარემო		
1.	სტუდენტის მაგიდა	10 ერთეული
2.	სტუდენტის სკამი	10 ერთეული
3.	სტუდენტის კომპიუტერი	10 ერთეული
4.	მასწავლებლი მაგიდა, სკამი	1 ერთეული
5.	დაფა	1 ერთეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.	ნოუთბუქი მასწავლებლის	1 ერთეული
7.	პროექტორი	1 ერთეული
8.	პრინტერი	1 ერთეული

C **გარემო** წარმოადგენს სასტუმრო ოთახის სახელოსნოს, რომელიც აკმაყოფილებს ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

„ბუღალტრული აღრიცხვა"

პროგრამით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი A/B გარემო

1.	სტუდენტის მაგიდა	14 ერთეული
2.	სტუდენტის სკამი	20 ერთეული
3.	მასწავლებლი მაგიდა, სკამი	1 ერთეული
4.	დაფა	1 ერთეული
5.	ნოუტბუკი	1 ერთეული
6.	პროექტორი	1 ერთეული
7.	კომპიუტერი საჭირო პროგრამით (ორისი)	15 ერთეული
8.	პრინტერი	1 ერთეული

„ელექტროობა"

პროგრამით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი C გარემო

1.	სტუდენტის მაგიდა	2 (1 დიდი, 1 პატარა)ერთეული
2.	სტუდენტის სკამი	11 ერთეული
3.	მასწავლებლი მაგიდა, სკამი	1 ერთეული
4.	დაფა	1 ერთეული
5.	ნოუთბუკი	1 ერთეული
6.	პროექტორი	1 ერთეული

„ინფორმაციის ტექნოლოგია"

პროგრამით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი ორი B გარემო

B გარემო 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის **თავმჯდომარის ხელმოწერა:**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის **წევრების ხელმოწერები:**

1.	სტუდენტის მაგიდა	11 ერთეული
2.	სტუდენტის სკამი	11 ერთეული
3.	მასწავლებლი მაგიდა, სკამი	1 ერთეული
4.	დაფა	1 ერთეული
5.	ნოუთბუკი	1 ერთეული
6.	პროექტორი	1 ერთეული
7.	პროექტორის ეკრანი	1 ერთეული
8.	კომპიუტერი	11 ერთეული

B გარემო 2		
1.	სტუდენტის მაგიდა	10 ერთეული
2.	სტუდენტის სკამი	10 ერთეული
3.	მასწავლებლი მაგიდა, სკამი	1 ერთეული
4.	დაფა	1 ერთეული
5.	ნოუთბუკი	1 ერთეული
6.	პროექტორი	1 ერთეული
7.	მრავალფუნქციური ეკრანი	1 ერთეული
8.	კომპიუტერი	10 ერთეული

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში არსებული A,B და C ტიპის სასწავლო გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით აკმაყოფილებს თითოეული პროგრამისთვის კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას - კერძოდ, ორ ცვლაში შესაძლებელია 80 პროფესიული სტუდენტის განთავსება, 20 პროფესიული სტუდენტი თითოეული პროგრამისთვის.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა პროგრამების შესაბამისი საჭირო ინვენტარის და მასალების გადამოწმება. ყველა ზემოთაღნიშნული რესურსი დაწესებულებას საკუთრებაში გააჩნია, რაც დასტურდება ინვენტრიზაციისა და შესყიდვის დოკუმენტებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია კვოტა პროგრამების მიხედვით:

1. **ელექტროობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. სულ პროგრამისათვის გამოყოფილია 2 (ორი) ოთახი. (1A, 1C) . თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 10 პროფესიულ სტუდენტზე.

კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც. გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკაც. სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ ერთ ცვლაში ერთდროულად, სხვადასხვა გარემოში სწავლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 2 ჯგუფის სწავლება, მეორე ცვლაში 1 ჯგუფის.

2. ინფორმაციის ტექნოლოგია

კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. სულ პროგრამისათვის გამოყოფილია 2 (ორი) ოთახი. (1A, 1C) . თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 10 პროფესიულ სტუდენტზე.

კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც. გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკაც. სასწავლო გეგმა ისე აგებული, რომ ერთ ცვლაში ერთდროულად, სხვადასხვა გარემოში სწავლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 2 ჯგუფის სწავლება,მეორე ცვლაში 1 ჯგუფის.

3. სასტუმრო მომსახურება

კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. სულ პროგრამისათვის გამოყოფილია 3 (ორი) ოთახი. (1B, 2C) . თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 10 პროფესიულ სტუდენტზე.

კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც. გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკაც. სასწავლო გეგმა ისე აგებული, რომ ერთ ცვლაში ერთდროულად, სხვადასხვა გარემოში სწავლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 2 ჯგუფის სწავლება,მეორე ცვლაში 1 ჯგუფის.

4. ბუღალტრული აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. სულ პროგრამისათვის გამოყოფილია 1 (ერთი) ოთახი. (1B,) . თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია 10 პროფესიულ სტუდენტზე. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც. გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკაც. სასწავლო გეგმა ისე აგებული, რომ ერთ ცვლაში ერთდროულად, სხვადასხვა გარემოში სწავლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 2 ჯგუფის სწავლება,მეორე ცვლაში 1 ჯგუფის.

ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოს დათვალიერება და მატერილური რესურსის გადამოწმება პროგრამების მიხედვით. მოხდა კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად კოლეჯს შეუძლია 30პროფესიული სტუდენტის მიღება თითოეული პროგრამისთვის, თუმცა დარგობრივი და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს თითო-თითო პროფესიული განათლების მასწავლებელთან და ამის გათვალისწინებით თითოეული პროგრამისთვის კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობაა 20.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინვენტრიზციის დოკუმენტაციით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ბუნებრივი განათება, სველი წერტილები განთავსებულია დაწესებულების ორივე სართულზე, ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებულია პირველ სართულზე. კოლეჯს აქვს ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგება, ცხელი წყალი. გათბობის სისტემა გამართულია ელ.ენერგიაზე და დიზელის საწვავზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მიერ კომუნალური ხარჯებისთვის გადახდილი ქვითრებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, შემუშავებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10-დან 18 სათამდე.

ბიბლიოთეკა განთავსებულია კოლეჯის მეორე სართულზე, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი და პრინტერი , მოწყობილია სამკითხველო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. კოლეჯში ახალი პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხდება წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში არსებობს როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული კატალოგი (OPAC), კატალოგზე წვდომა შესაძლებელია შემდეგი ბმულიდან: http://lib.tetnuldi.edu.ge/opac/
ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდთან შესაბამისობა. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, თუმცა გადამოწმებისას გამოიკვეთა მოდულების ადაპტირებისას დაშვებული ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ მოდულში "ეკონომიკური ანალიზი"(ბუღალტრული აღრიცხვა) მითითებული სახელმძღვანელოს ავტორი და ბიბლიოთეკაში არსებული ელ.სახელმძღვანელოს ავტორები არ ემთხვევა ერთმანეთს; ასევე, მოდულში მეორე უცხო ენა (სასტუმრო მომსახურება)არ არის მითითებული სახელმძღვანელო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით
- ბიბბლიოთეკართან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია
გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურაში.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია 70 კომპიუტერი, ხოლო პერსონალისათვის 13 კომპიუტერი, ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი.

კომუნიკაციისათვის გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow. კოლეჯი ჩართულია პროფესიული კოლეჯების ერთიან ბაზაში https://evet.emis.ge/.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- https://evet.emis.ge/.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის მიერ შემუშავებულია საქმისწარმოების წესი. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა Eflow-ს მეშვეობით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წესი კი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

კოლეჯში შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე (ელექტრონული) სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით,ხოლო მატერიალური სახის დოკუმენტაცია აღირიცხება სპეციალური აღრიხცხვის ჟურნალებში (შემოსული, გასული, შიდა), მიენიჭება თარიღი და ინომრება რიგითობის მიხედვით (მაგ: 01, 02...)

ვიზიტის დროს გადამოწმდა კოლეჯის საქმისწრმოება, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური. კოლეჯის საქმისმწარმოებელი აწარმოებს რეგისტრაციის ჟურნალებს, სადაც ხდება საერთო ბრძანებების, საკადრო ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასული დოკუმენტაციის, საკვალიფიკაციო ოქმების, სამსახურეობრივი ბარათების, განცხადებების, სტუდენტთა ხელშეკრულებების და განცხადებების, მემორანდუმების რეგისტრაცია.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვა მიმდინარეობს კოლეჯის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის დაცვით და კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 25/10/2018 ივლისის N02/50 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი. კოლეჯი აღჭურვილია თანმედროვე სათვალთვალო კამერებით(სულ 25 ვიდეო სათავთავლო კამერა, მათ შორის 8 გარე გამოყენებისთვის).საშტატო განრიგის შესაბამისად კოლეჯში დასაქმებულია დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში წესრიგის დაცვას. წესრიგის დარღვევის, ავარიული ან სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დარაჯი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კოლეჯის დირექტორს და აუცილებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში მოახდინოს საგანგებო სიტუაციების ან/და პოლიციისა და შესაბამისი სამსახურების გამოძახება.

კოლეჯის შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეგრელო ზემოსვანეთის სახანძრო საზოგადოების დირექტორის მიერ;

დაწესებულებაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექნიზმები", რომელშიც გაწერილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. კოლეჯში არის სამედიცინო პუნქტი და ხელშეკრულება გაფორმებულია კვალიფიციურ მედდასთან, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ვიზიტის დროს მოხდა მასთან გასაუბრება. **ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში დაცულია პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი" წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესით;
- მედდასთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელია პანდუსით, სართულებს შორის გადასაადგილებლად დამონტაჟებულია ლიფტი.კოლეჯის პირველ სართულზეა განლაგებული ადაპტირებული სველი წერტილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი www.tetnuldi.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო (ვებგვერდიდან შესაძლებელია დაწესებულებასთან შეტყობინების გაგზავნა მეილის საშუალებით) და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, კოლეჯის მისია, ხედვა,ღირებულებები სტრუქტურა, მარეგულირებელი დოკუმენტები, აქტივობები, პროგრამები, პარტნიორები, ფოტო გალერეა, დაწესებულების ერთწლიანი-სამოქმედო (2019წ) და განვითარების სტრატეგიული (6 წლიანი) გეგმები, დაწესებულების პერსონალი, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სხვა. ვებ გვერდზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქართულ ენაზე.
ბოლო სიახლე განთავსებულია 2019 წლის 26 ივლისს.
დაწესებულების მიერ ასევე შექმნილია კოლეჯის Facebook გვერდი https://www.facebook.com/tetnuldikoleji/, რომლის მართვა და განახლება ხორციელდება რეგულარულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვებ გვერდით www.tetnuldi.edu.ge
- Facebook-გვერდით https://www.facebook.com/tetnuldikoleji/
- დომეინის ხელშეკრულებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯ "თეთნულდს" შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული (ექვსწლიანი, 2018-2024 წწ.), დამტკიცებული სსიპ პროფესიული კოლეჯის "თეთნულდი" სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სხდომის ოქმი N03,29 ოქტომბერი, 2018წ. და ერთწლიანი (2019 წ) სამოქმედო გეგმები.

განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან ითვალისწინებს მატერიალური რესურსების გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. გეგმები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.

განვითარების სტრატეგიული გეგმა შედგება 5 მთავარი მიზნისაგან - ხარისხის უზრუნველყოფა, კოლეჯის საცხოვრებელი კორპუსის შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების დასრულება, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, დაწესებულების ადამიანური რესურსის განვითარება. აღნიშნულის მისაღწევად გეგმაში გაწერილია ამოცანები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და რისკები. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების ინფრასტრუქტურის განვითარებას და განვითარებას, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2019 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს სტრატეგიული მიზნის მისაღწევად გაწერილ ამოცანებს, აქტივობებს, შესრულების ვადებს, პასუხისმგებელ და შემსრულებელ პირებს, სხვა დაინტერესებულ პირებს, რესურსებს და შესრულების ინდიკატორებს. თუმცა საჭირო რესურსებისთვის განკუთვნილი გრაფა შევსებული არ არის.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია ცალკე დოკუმენტად კოლეჯს გაწერილი არ აქვს. კოლეჯის წესდების მიხედვით (დამტკიცებული განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N 80/ნ, 2011წლის 6 მაისი), თავი II. მუხლი 6. პუნქტი 2 დ, სამეთვალყურეო საბჭო დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს კოლეჯის სამოქმედო გეგმას. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომელიც გეგმის შემუშავების საფუძველია და 2018 წლის და 2019 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვის შესრულების ანგარიშები. ანგარიშებში დაწვრილებითაა გაწერილი შესრულებული აქტივობების შემსრულებლები, შესრულების თარიღი და ინდიკატორები.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ვებგვერდზე განთავსებული არ არის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის წესდებით;
- სტრატეგიული განვითარების ექვწლიანი გეგმა (2018-2024წწ);
- სამოქმედო გეგმა (2019წ);
- SWOT ანალიზით;
- სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანგრიშებით;
- კოლეჯის ვებგვერდით http://tetnuldi.edu.ge/about-college__trashed/normative-acts/

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია

- კოლეჯი „თეთნულდის“ 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაიწეროს სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის საჭირო რესურსები;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგრიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯი „თეთნულდის" მართვის ორგანოებია კოლეჯის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო,რაც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისს N80/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებით.
კოლეჯის სტრუქტურა შედგება 18 საშტატო ერთეულისგან, მათ შორის 4 დამხმარე თანამშრომელია. დაწესებულების სტრუქტურა ითვალისწინებს პედაგოგებსაც.
დაწესებულების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დაწესებულების „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესით", რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ.
ამ წესის მიხედვით გაწერილია დირექციის/ადმინისტრაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი განათლება.
2. სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა.
3. კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა.
4. ადმინისტრაციული თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა.
5. შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება (სასურველია).

და დამხმარე და მომსახურე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები- საბაზო/საშუალო ან პროფესიული განათლება.

„პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესის" მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თითოეული ადმინისტრაციული/დამხმარე/მომსახურე პერსონალის თანამდებობისათვის.
დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო

აღწერილობები, სადაც დეტალურადაა გაწერილი კომპეტენციები შესაბამისი პოზიციების მიხედვით.

ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება; სამუშაო აღწერილობები განთავსებულია პერსონალის პირად საქმეებში. ბუღალტრის პირად საქმეში არ აღმოჩნდა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისი cv-დან ირკვევა, რომ მას დამთავრებული აქვს ქ.თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტიტუტი მოსკოვის ფილიალი ბუღალტრის კვალიფიკაციით და 1975 წლიდან დღემდე ნამუშევარი აქვს სხვადასხვა ორგანიზაციაში მთავარ ბუღალტრად, გავლილი აქვს უამრავი ტრენინგი. მასთან ექსპერტებმა გასუბრებით დაადგინეს, რომ მისი დიპლომი დაიწვა, და ვერ ხერხდება დუბლიკატის აღება.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის წესდებით;
- http://tetnuldi.edu.ge/wp-content/uploads/2019/07/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90.pdf
- სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- სამუშაო აღწერილობებით;
- წარმოდგენილი პროფესიული მასწავლებლების CV-ებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები"; ამ წესით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაცია ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია).
3.სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები.

წარმოდგენილი პროგრამებისთვის დაწესებულებას ჰყავს 10 პროფესიული მასწავლებელი. ქვემოთ წარმოდგენილია დაწესებულების განმახორციელებელი პერსონალი პროგრამების მიხედვით:

„სასტუმრო მომსახურება"
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი -5

„ბუღალტრული აღრიცხვა"
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი-4

„ელექტროობა"
პროგრამის განმახორციელებელი ერსონალი-5

„ინფორმაციის ტექნოლოგია"
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი- 6

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებლებს და გადაამოწმეს მათი პირად საქმეები.პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის, დაწესებულების მიერ გაწერილ საკვალიფიკაციო და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნებს.
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80 - ით განსაზღვრის შემთხვევაში თანაფარდობა იქნება 1 პროფესიული მასწავლებელი/ 8 პროფესიულ სტუდენტზე.
ამ ეტაპზე დაწესებულებას ჰყავს 50 პროფესიული სტუდენტი, 2 პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც გაწერილია „შინაგანაწესში", დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი" სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით,სხდომის ოქმი N03, 29 ოქტომბერი, 2018წელი.
შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ კოლეჯის მიერ დასაქმების მსურველთა შერჩევისას, კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესიც. დასაქმების მსურველი პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, ხოლო კონკურსის შემთხვევაში საამისოდ შექმნილი საკონკურსო კომისია. პირის სამსახურში აყვანა ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით. **ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებას კონკურსის გამოცხადების გზით კადრი ჯერ არ აუყვანია.**
ამავე დოკუმენტით რეგულირდება პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისათვის და პირადი საქმეებისთვის წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა, სამუშაო და დასვენების დრო, სამუშაოს შესრულების ადგილი, შვებულებები, დასაქმებულის უფლება-მოვალეობები და სხვა.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული მასწავლებების პირადი საქმეები, დასაქმებულებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, ასევე დირექტორის მიერ გამოცემულია მათი დანიშვნის აქტები. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისია.

შრომითი ხელშეკრულბების შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში არ არის მითითებული თუ რომელი პროგრამის/მოდულის განსახორციელებლად დაიდო ხელშეკრულება. დანიშვნის აქტებში მითითებულია მხოლოდ პროგრამის დასახელება. ამასთან, დანიშვნის აქტებში/შრომით ხელშეკრულებაში „პროფესიული მასწავლებლის" ნაცვლად, ყველგან მითითებულია „მასწავლებელი" ან „პედაგოგი".
- ხელშეკრულებებში არ არის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილი. თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაწესებულების „შინაგანაწესი", სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი.
- პროფესიული მასწავლებლებლების: [redacted] შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებს წინა ვიზიტის პერიოდში ექპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, კერძოდ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობებს არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც, ხელშეკრულების 3.4 პუნქტიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი „განკარგულება", ვინაიდან ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი; შრომითი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში მოხდა ტექნიკური უზუსტობის გასწორება, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტის

საფუძვლად არ უნდა იყოს მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოქმედება კოლეჯის ადამიანურ რესურსზე არ ვრცელდება; **დანარჩენ 6 პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული ზემოთაღანიშნული პირობები.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- დოკუმენტაციით, სადაც დაწესებულების მიერ დადგენილია პირობები;

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია

- წარმოდგენილი პროგრამებსთვის საჭირო ყველა პროფესიულ მასწავლელბლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იქნება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობები არა მხოლოდ უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოზე, არამედ კვირის განმავლობაში 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებაზეც, ხელშეკრულების 3.4 პუნქტიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი „განკარგულება“, ვინაიდან ასეთ შიდა სამართლებრივ აქტს საერთოდ არ იღებს კოლეჯი; შრომითი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში მოხდება ტექნიკური უზუსტობის გასწორება, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტის საფუძვლად არ უნდა იყოს მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოქმედება კოლეჯის ადამიანურ რესურსზე არ ვრცელდება;
- შრომით ხელშეკრულებაში მიეთითოს პროგრამის/მოდულის დასახელება;
- შრომით ხელშეკრულებებში/დანიშვნის აქტებში „მასწავლებლის“ და/ან „პედაგოგის“ ნაცლად ჩაიწეროს „პროფესიული განათლების მასწავლებელი“.
- სასურველია ხელშეკრულებებში მიეთითოს სამუშაოს შესრულების ადგილი. თუმცა კოლეჯის რეგულაციით, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დაწესებულების „შინაგანაწესი“, სადაც მითითებულია სამუშაოს შესრულების ადგილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 103-ით.

მოთხოვნილი პროგრამებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 80-ით.

მილევად რეჟიმში მიმდინარე პროგრამებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა 23.

ა) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მინიჭებული კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დამატებითი სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოცულობა ეროვნული პროგრამის	ეროვნული კვალიფიკაციის ეროვნული პროგრამის	ეროვნული კვალიფიკაციის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სტუდენტთა ფაქტიური რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ინფორმაციის ტექნოლოგია	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის მხარდაჭერაში 0612	60	75		ქართული	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25	14	20
2	ელექტროობა	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული		მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25	15	20
3	სასტუმრო მომსახურება	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო	80	95	ქართული		მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25	0	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

			მომსახურებაში 1013						
4	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფეიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	114	ქართული	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25	0	20

ბ) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მინიჭებული კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	ბუღალტერ-ტექნიკოსი	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	020155	62	77	ქართული	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25	7
2	გიდი	გიდის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	112051	60	-	ქართული	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25	9
3	მიღება-განთავსების სპეციალისტი	მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	112065	79	94	ქართული	მესტია, ე.ფარჯიანის ქ.N25	7

IX. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

<u>დანართები გამოგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად;</u>

05.08.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: